საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/5 „28" იანვარი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ც. დევრისაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/47-15), რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება დავით ლონგურაშვილის გარდაცვალების გამო მისი 10 წლის ხელფასის ოდენობით ფულადი კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა, ერთი თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დანიშნოს ექსპერტიზა. განსახილველ შემთხვევაში ექსპერტის მიერ სადავო საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველა გარემოების სრულყოფილად გამოკვლევისა და საკითხის გადაწყვეტისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ც. დევრისაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით დაინიშნოს ექსპერტიზა.

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

3. ექსპერტის წინაშე გამოსაკვლევად დაისვას შემდეგი შეკითხვა:

2007 წლის 10 სექტემბერს განვითარებული ქალის შიდა სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლა არის თუ არა მიზეზობრივ კავშირში დ. ლონგურაშვილის გარდაცვალებასთან.

4. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გადაეგზავნოს შემდეგი დოკუმენტაციის ასლები:

4.1. დმანისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური-03-ის გამოძახების ბარათი №2631;

4.2. თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათი №4387;

4.3. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა №1922/26-116;

4.4. სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის ყუა №112;

4.5. გარდაცვალების მოწმობა №34102;

4.6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობა №01/19401 (03.02.2014 წ.);

4.7. ექიმ-ნევროპათოლოგის ლია გაბედავას ახსნა-განმარტება (11.02.2014 წ.);

4.8. ექიმ-ნეიროქირურგის გოგი მაღალაშვილის ახსნა-განმარტება (21.02.2014 წ.);

4.9. ექიმ-რეანიმატოლოგის გია ხარჩილავას განცხადება (11.04.2014. წ.).

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი